# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 374

25 აგვისტო
"___" _____ 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ც.დადიანის ქუჩა №105-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.12.13.087.004.01.501) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი ქალი და რეალობისთვის" (ს/ნ. 400052134) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 და მე-8 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 და 12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ც.დადიანის ქუჩა №105-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.12.13.087.004.01.501) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კავშირი ქალი და რეალობისთვის" (ს/ნ. 400052134) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 7 აგვისტოს №23.1151.1261 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, ც.დადიანის ქუჩა №105-ში, 1 სართულზე არსებული 148.60 კვ.მ. ფართიდან ამ განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილი სიტუაციურ ნახაზზე მონიშნული 121.52 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.12.13.087.004.01.501) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კავშირი ქალი და რეალობისთვის" (ს/ნ. 400052134) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი, ოფისის განთავსების მიზნით.

2. უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე